ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N71

ქ. თეთრიწყარო 2022 წელი

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი წიკლაურის სახით და მეორეს მხრივ ი/მ ზვიად გოგოლაძის (შემდგომში "მიმწოდებელი") სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულეაბა, ,,2022 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა").

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელსშორის დადებული წინამდებარეხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2022 წლის ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში სკვერების შემოღობვის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის /71300000-CPV/ შესყიდვა, დანართის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4220,34 (ოთხიათას ორასოცი ლარი და 34 თეთრი) ლარი, დღგ-ს გარეშე.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. დაფინანსების წყარო: 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1.შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2.შემსყიდველი ვალდებულია:

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

გ) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია თითოეული ობიექტის მიხედვით მოწოდებული უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან **2022 წლის 20 აგვისტოს** ჩათვლით ეტაპობრივად უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა.

ბ) უზრუნველყოს მომსახურების დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში;

გ) პროექტირების პროცესში ქონდეს მუდმივი კომუნიკაცია მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურთან და შეათანხმოს ყველა კონკრეტული საპროექტო გადაწყვეტილება.

დ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

ე) სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილი უზუსტობების ან/და შეუსაბამობები შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, მუნიციპალიტეტის მიერ წერილობითი მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება და კორექტირებული დოკუმენტაციის მუნიციპალიტეტისთვის მიწოდება.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო

6.1. თუ მიმწოდებელი გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით;

6.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა.

6.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი იხდის ჯარიმას ჩასარიცხი თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის, ხოლო მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში - კი სახელშეკრულებო ღირებულების 20% ოდენობით, რომლის შემთხვევაშიც შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა.

7. მიღება - ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტების მიღება განხორციელდება, მომსახურების დასრულებისა და დამადასტურებელი დოკუმენტაციების წარმოდგენის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.

8.2 გაწეული მომსახურების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირები აფიქსირებენ ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.6. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს - მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება

გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

14. რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	ი/მ ,,ზვიად გოგოლაძე"
მის: ქ. თეთრიწყარო. თამარ მეფის #34	მის: ხაშური, 26 მაისის ქ. #19
ს/კოდი: 230869254	პ.ნ. 57001040317
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს ,,ლიბერთი ბანკი"
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ნ GE79LB0610003536020955
TRESGE22	LBRTGE22
_____	_____
გიორგი წიკლაური მუნიციპალიტეტის მერი	ი/მ ზვიად გოგოლაძე

TETRITSKARO MUNICIPALITY

Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2022.07.07 14:38:38 +04'00'

Zviad Gogoladze 57001040317

Digitally signed by Zviad Gogoladze
Date: 2022.07.06 17:58:16

სკვერები

N	მუნიციპალიტეტი	სოფელი	პროექტის დასახელება	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სავარაუდო ღირებულება
1	**თეთრიწყარო**	დაბა მანგლისი	სკვერის აღდგენითი სამუშაოები შიდა სივრცის მოწყობა	508.47
2	**თეთრიწყარო**	ალგეთი	სკვერში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	254.24
3	**თეთრიწყარო**	კოდის ფაბრიკის დასახლება	კოდის ფაბრიკის დასახლებაში არსებული ტერიტორიის შემოღობვა	406.78
4	**თეთრიწყარო**	ქოთიში	სკვერის შემოღობვა და კეთილმოწყობა	254.24
5	**თეთრიწყარო**	ხაიში	სკვერის მოწყობა	406.78
6	**თეთრიწყარო**	შიხილო	სასაფლაოს შემოღობვა	254.24
7	**თეთრიწყარო**	დიდი ირაგა	სკვერები, სპორტული ინფრასტრუქტურა	254.24
8	**თეთრიწყარო**	ივანოვკა	საბავშვო სკვერი შესაბამისი ინვენტარით	254.24
9	**თეთრიწყარო**	მენკალისი	სკვერი შესაბამისი ინვენტარით	254.24
10	**თეთრიწყარო**	ტბისი	სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	254.24
11	**თეთრიწყარო**	ჯორჯიაშვილი	სკვერი და სველი წერტილი შესაბამისი ინვენტარით	406.78
12	**თეთრიწყარო**	ენაგეთი	სკვერის მოწყობა	305.07
13	**თეთრიწყარო**	ღოუბანი	სპორტული ინფრასტრუქტურა	406.78
				4220.34